

**მეჰმედ ჰუსეინ შაჰრიარი
ქართულ ლიტერატურულ სივრცეში**

**MEHMED HUSSEIN SHAHRIYAR
WITHIN THE CONTEXT
OF GEORGIAN LITERATURE**

მარიკა ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Marika Jikia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

მუჰამედ ჰუსეინ შაჰრიარი (1906-1988) XX საუკუნის თურქული და სპარსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო. მისი ნაწარმოებები უმაღლესი პოეტური ოსტატობით არის შექმნილი და მრავალსაუკუნოვანი სპარსული პოეზიის მშვენიერებაა.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში შაჰრიარის სახელი პირველად 1967 წელს გამოჩნდა – დავით კობიძემ შაჰრიარის ლექსები შეიტანა სპარსულ ქრესტომათიაში, რასაც დაურთო პოეტის შესახებ მოკლე ცნობა: „შაჰრიარი ირანში ძალიან პოპულარული პოეტია. მის ლექსებში შესამჩნევია საადის, შირაზის, ჰაფეზის მოტივების გავლენა და უძველესი პოეზიის სურნელი იგრძნობა. მაგრამ მას მაინც აქვს უნიკალური პოეტური ხმა და ხედვა“. თენგიზ კეშელავამ შაჰრიარს ვრცელი ესეი მიუძღვნა, სადაც მას ღაზალების უნიკალურ ოსტატად მოიხსენიებს. მკვლევარმა შაჰრიარის ლექსები დეტალურად შეისწავლა და სამ ჯგუფად დაყო: 1. კლასიკური სტილის ლექსები, რომლებშიც კლასიკოსი პოეტების გავლენა აშკარად იგრძნობა; 2. რომანტიკული ლექსები, რომლებიც პირად გრძნობებს მოიცავს; 3. ლექსები, რომლებშიც პოეტი იყენებს სოციალურ თემებზე დაფუძნებულ რეალისტურ სტილს.

მაგალი თოდუა, ცნობილი ლიტერატურული მოღვაწე და სპარსული პოეზიის მთარგმნელი, 1973 წელს სამეცნიერო მისიით ჩავიდა ირანში. როდესაც შაჰრიარმა ამის შესახებ შეიტყო, მან ქართველი პროფესორი სახლში დაპატიჟა. არსებობს მაგალი თოდუას თბილისი მოგონება ამ შეხვედრაზე.

შაჰრიარი მთელ თურქულ სამყაროში ცნობილია თავისი პოემით „სალამი, ჰაიდარბაბა“, რომელიც 80 ენაზეა თარგმნილი. ოქტაი კაზუმოვმა ის

თარგმნა აზერბაიჯანულიდან ქართულად, ხოლო პწკარედი მხატვრულად გარდათქვა ქართველმა ირანისტმა და პოეტმა ნომადი ბართაიამ. მან საგულდაგულოდ მიუსადაგა ორიგინალის 3+2 სალექსო ფორმას ქართული, რათა ადეკვატურად გადმოეცა ლექსის სული. 2017 წელს ეს თხზულება გამოიცა საქართველოში აზერბაიჯანის უზუცესთა საბჭოს ინიციატივით, რომელსაც მხარს უჭერს ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

საკვანძო სიტყვები: მეჰმედ ჰუსეინ შაჰრიარი, სპარსული პოეზია, სალექსო ფორმები.

ABSTRACT

Mehmed Hussein Shahriyar (1906-1988) was an prominent figure in 20th-century Turkish and Persian literature. His works demonstrate the highest level of poetic artistry and embody the beauty of Persian poetry that spans centuries.

Shahriyar's name first appeared in the Georgian literary scene in 1967, when Davit Kobidze included his poems in a Persian Chrestomathy, which included a brief note about the poet: "Shahriyar is a very popular poet in Iran. The influence of motifs from Saadi, Shiraz, and Hafez is noticeable in his poems, evoking the essence of ancient verse. Still, he possesses a unique poetic voice and vision". Tengiz Keshelava dedicated an extensive essay to Shahriyar, where he referred to him as a unique master of ghazals. The researcher examined Shahriyar's poems in detail and classified them into three groups: 1. Classical style poems, in which the influence of classical poets is clearly discernible; 2. Romantic poems that encompass personal feelings; 3. Poems that address social themes in a realistic manner.

In 1973, Magali Todua, a renowned literary figure and translator of Persian poetry, traveled to Iran on a scientific mission. When Shahriyar learned of his presence, he invited the Georgian researcher to his home, leaving Magali Todua with fond memories of their meeting.

Shahriyar is celebrated across the Turkic world for his poem Greetings to HaydarBaba, which has been translated into 80 languages. Oktay Kazumov rendered the text from Azerbaijani into Georgian as a direct translation, which was then artistically adapted by the Georgian Iranist and poet Nomadi Bartaia. He carefully aligned the 3+2 verse structure of the original with Georgian in order to adequately convey the spirit of the poem. In 2017, the Georgian translation was published through the efforts of the Council of Azerbaijani Elders of Georgia, with support from the Ministry of Culture of the Islamic Republic of Iran.

Keywords: Mehmed Hussein Shahriyar, Persian poetry, verse forms.

შესავალი

მუჰამედ ჰუსეინ შაჰრიარი (1906-1988) XX საუკუნის თურქული და სპარსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო. მისი ნაწარმოებები უმაღლესი პოეტური ოსტატობით არის შექმნილი და მრავალსაუკუნოვანი სპარსული პოეზიის მშვენიერებაა.

ირანისტმა **ნომადი ბართაიამ** შეისწავლა ქართულ სალიტერატურო სივრცეში შაჰრიარის შემოსვლის საკითხი. პირველად ეს სახელი 1967 წელს გამოჩნდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა **დავით კობიძემ** შაჰრიარის ლექსები შეიტანა თავის მიერ შედგენილი სპარსული ქრესტომათიის მეორე ტომში, რასაც დაურთო პოეტის შესახებ მოკლე ცნობა: „მოჰამედ ჰოსეინ შაჰრიარი ძალიან პოპულარული და ხალხისათვის საყვარელი პოეტია. იგი სპარსული კლასიკური პოეზიის, განსაკუთრებით საადისა და ჰაფეზის მოტივების გავლენას განიცდის. მისი ლექსების დიდი ნაწილი ძველ საუკუნეთა პოეზიის სურნელებას აფრქვევს. მიუხედავად ამისა, მას საკუთარი პოეტური ხმა და ხედვა გააჩნია“ (ბართაია 2017: 5).

პროფესორმა **თენგიზ კეშელავამ** 1982 წელს გამოსცა კრებული – „წერილები თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე“. ერთი წერილი შაჰრიარს მიუძღვნა, სადაც მას ყაზალის შეუდარებელ ოსტატად მოიხსენიებს. მკვლევარმა შაჰრიარის ლექსები შეისწავლა და სამ ჯგუფად დაყო: 1. კლასიკური სტილის ლექსები, რომლებშიც ძველი პოეტების ზეგავლენა აშკარად იგრძნობა; 2. რომანტიკული ხასიათის პოეტური ქმნილებები, რომლებშიც პოეტი გადმოგვცემს თავის პირად განცდებს; 3. ლექსები, რომლებშიც პოეტი იყენებს სოციალურ თემებზე დაფუძნებულ რეალისტურ სტილს (ბართაია 2017: 5-7). თენგიზ კეშელავა შაჰრიარის სიცოცხლეში იმყოფებოდა ირანში როგორც დიპლომატი, იყო საბჭოთა საელჩოს მდივანი. მის თვალწინ ჩამოდიოდა მშობლიური თავრიზიდან თეირანში პოეტი და მის თვალწინ იმართებოდა გულთბილი შეხვედრები, რაზედაც მოგვითხრობს მკვლევარი (ბართაია 2017: 8).

სახელგანთქმული ირანისტი, სპარსული პოეზიის მთარგმნელი, პროფესორი **მაგალი თოდუა** 1973 წელს სამეცნიერო მივლინებით ჩავიდა ირანში. როდესაც შაჰრიარმა ეს შეიტყო, მან ქართველი პროფესორი შინ მიიწვია. როგორც მაგალი თოდუა წერს, ეს უდიდესი პატივი იყო მისთვის. 1984 წელს მაგალი თოდუამ გამოაქვეყნა ამ შეხვედრის დეტალები, კერძოდ კი, რას ფიქრობს შაჰრიარი ქართველებზე, ზოგადად ლიტერატურაზე და განსაკუთრებით – პოეზიაზე (ბართაია 2017: 9-14).

სპარსელები წერენ და წარმოთქვამენ შაჰრიარს, ხოლო თურქები და აზერბაიჯანელები – შეჰრიარს.

შაჰრიარი მთელ თურქულენოვან სამყაროში ცნობილია თავისი პოემით „სალამი, ჰაიდარბაბა“, რომელიც 80-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. ოქტაი კაზუმოვმა ის თარგმნა აზერბაიჯანულიდან ქართულად, ხოლო პწკარედი მხატვრულად გარდათქვა ქართველმა ირანისტმა და პოეტმა ნომადი ბართაიამ. პროფ. ნომადი ბართაიამ საგულდაგულოდ მიუსადაგა ორიგინალის 3+2 სალექსო ფორმას ქართული, რათა ადეკვატურად გადმოეცა ლექსის სულისკვეთება. ეს განხორციელდა 2017 წელს. ამ თხზულების გამოცემის ინიციატორია აზერბაიჯანის უხუცესთა საბჭო

საქართველოში, რომელსაც მხარს უჭერს ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

კვლევის მეთოდები

შესასწავლი საკითხის სიღრმისეული დამუშავებისათვის გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. გავეცანით ამ მყარი სალექსო ფორმით შექმნილი პოეტური თხზულებების ქრონოლოგიას და მისი სათავე ქართულ სინამდვილეში აღორძინების ხანის პოეზიაში გამოიკვეთა, ხოლო XIX საუკუნეში პატრიოტული ლირიკის ორი უბრწყინვალესი ქმნილება შეიქმნა ამ ფორმით: რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და ილია ჭავჭავაძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

მსჯელობა

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა პოეტური სამყარო ჩვენთვის, სულ მცირე, ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: ის, როგორც ესთეტიკური ფენომენი, თავისთავად ძალიან საინტერესოა, მას აქვს დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. ამავდროულად, ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება ისე ვითარდებოდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ლიტერატურული აზრის განვითარებაში თავს იჩენს მსგავსი მოვლენები თუ მოდელები, აზრობრივი პოსტულატებისა თუ გამოსახვის საშუალებათა დამთხვევა (ჯაველიძე 1988: 5).

ზოგად ლექსმცოდნეობაში სალექსო კომპოზიციათა მრავალი სახეობაა აღნუსხული. მათ შორის აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული მყარი ფორმები, რომლებიც გამოირჩევიან სტროფიკითა და რითმით, კერძოდ კი რითმების განსაზღვრული რაოდენობითა და თავისებური განლაგებით, ან განსაკუთრებული საზომით, ან გარკვეული რაოდენობის ტაქეებით, ან კიდევ ტაქეების აუცილებელი გამეორებით. ეს კომპოზიციები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხის პოეზიაში წარმოიშვა და მეტ-ნაკლებად გავრცელდა მსოფლიო წყობილსიტყვაობაში. მყარ სალექსო ფორმებს მიეკუთვნება, მაგალითად, ანტიკური (ბერძნულ-ლათინური) პოეზიიდან მომდინარე საფოს სტროფი, ალკეოსის სტროფი, არქილოქეს სტროფი; ევროპული წარმომავლობისაა ვილანელა, ტერცინა, სექსტინა, ოქტავა, რონდო, კანცონა, სიცილიანა, ტრიოლეტი, სპენსერის სტროფი, რონდელი, რონდო, ბალადა, სონეტი, პალინდრომი; აღმოსავლური წარმოშობისაა იაპონური ტანკა, მალაიური პანტუმი, არაბულ-სპარსულ-თურქული დუბეითი, ყაზალი, ყაფია, თეჯნისი, მაჯამა, მუსტაზადი, უჩლამა, მუსალასი, ყოშმა, როზაი, მურაბაჰი, მუხამბაზი და სხვ. (ბერიძე 1995: 308; ხინთიბიძე 2009: 311-323).

უჩლამა თურქული ფოლკლორის ტერმინია, წარმომდგარია სიტყვისგან /üç/ „სამი“ და ნიშნავს სამნაწილიანს, სამი სეგმენტის შემცველს. ქართულ პოეტიკურ სივრცეში ამ აღმო-სავლური სალექსო ფორმის სახელწოდება უჩლამის (< აზერბაიჯანული /üçləmə/) ფორმით დამკვიდრდა რამდენიმე ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესის გამო. კერძოდ, თურქულ ენათა /ü/-ს ქართული /უ/ ხმოვანი შეეფარდა, ხოლო წყაროენისეულ /ə/-ს – ქართული /ა/. ამდენად, აზერბაიჯანული üçləmə ქართულში „უჩლამას“ ფორმით დამკვიდრდა. ამ ტერმინით ისეთი ლექსი ივარაუდება, რომლის თითოეული სტროფი სამი ტაქისაგან შედგება, ხოლო ყოველ სტროფს, ჩვეულებრივ, ორტაქიანი რეფრენი ემატება (ბერიძე 1995: 309). თვით ტერმინი უჩლამა სპეციალისტებისთვის არის ხელმისაწვდომი და

პოპულარობით დიდად ჩამორჩება მუხამბაზს, ყაზალსა თუ რობაის... იგი არ არის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, არც მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ არ განიხილება, არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფიგურირებს და არც ლიტერატურათმცოდნეობის ლექსიკონში. არც ამ ორი საჩინო ლექსიკონის დროით ინტერვალში გამოცემულ სხვა ლექსიკონში.

ქართული მწერლობის პერიოდს დაახლოებით XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მომდევნო საუკუნის პირველი მეოთხედის დაღვეამდე გარდამავალ ხანას უწოდებენ. ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის თაობათა პერიოდი ამ გარდამავალი ხანის უკანასკნელი სტადიაა, რომლის უმთავრესი თავისებურება არის „ცოტაი ლექსის“, ლირიკის ზეობა. პოეტური სიტყვა მიემართა პირადულ თემებს, მოკლედ თქმას; გზა გაეხსნა რიტმულ მრავალფეროვნებას, გარითმვის სხვადასხვა სქემას (კენჭოშვილი 2014: 352).

ლექსის თხზვისას ქართველ პოეტთაგან ამ ფორმას მიმართავდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით ბატონიშვილი (გიორგი XIII-ის ვაჟი), იოსებ მელიქიშვილი, თამაზ ქობულაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი.

აღმოსავლური წარმომავლობის წყაროებთან ქართული მყარი სალექსო ფორმების დაკავშირების კონტექსტში აპოლონ სილაგაძე რამდენიმე შემთხვევას განიხილავს (სილაგაძე 2016: 124), რომელთაგან უჩლამას შემდეგი მიესადაგება: **ტიპოლოგიურად აღმოსავლური ფორმის მსგავსი ფორმა არსებობს ქართულში და მას აღმოსავლური სახელი შეერქვა. თუმც ამოსავალ ენაში ამ სიტყვით ნაგულისხმევ ლექსით ნიმუშს სხვა სახელით აღნიშნულ ფორმად განიხილავენ.**

ამ სიტუაციამ გაგვახსენა ნომადი ბართაიას შემდეგი დაკვირვება: არაბული წარმომავლობის მაჯამა წყაროებში ნიშნავს შეკრებას, შეკრების ადგილს, ქართულში კი მაჯამა პოეტიკური ტერმინია. ასევეა მუნასიბი, რომელიც არაბულად ნიშნავს მოუმზადებელს, უცებს, ხოლო ქართულში ლექსმცოდნეობის ტერმინად გადააზრებულა. აღვნიშნავთ, რომ ი. გრიშაშვილს მუნასიბის სახელწოდებით ერთი ლექსიც აქვს (ბართაია 2013: 49-50).

აი, რას წერს ამავე საკითხზე ლუკა ისარლიშვილი: „ქართულს ენაზედ არიან მრავალნი ლექსნი, რომელთაც ჰქვიათ სხვადასხვა სპარსული ანუ ოსმალური სახელები. ამ სახელებით ჰსწერდნენ ჩვენი მწერალნი, პოეტნი წარსულ საუკუნეში, რადგანაც ქვეყანა ოსმალს და სპარსეთის უფლებაში ბევრჯერ იყო და ამის გამო მათი სიმღერები და სახელები იყო გავრცელებული საქართველოში... სახელები ამგვარ ლექსთა არიან შემდგომნი: მუხამბაზი, მუსტაზადი, თახმისი, გარიელი, თეჯლისი, ბაიათი, გაფი, ყაიდა, გუშა... მაგრამ ყოველნივე ზემოხსენებულნი გვარნი ლექსებისა ეთანხმებიან ქართული ლექსების გვარსა ზომითაც, როგორც სიმღერას მოუხდებოდა“ (ისარლიშვილი 1954: 149-150).

რადგან საანალიზოდ თურქული დასახელების სალექსო ფორმა გამოგვაქვს, მოკლედ მიმოვიხილავთ თურქულენოვანი ხალხების სალექსო ფორმებს. თურქული ეთნოსის პოეტიკაში ბატონობდა ორი ურთიერთისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი მხატვრული სისტემა:

პირველი – ეს იყო ხალხური ლიტერატურა, რომელშიც პირობითად სამ მიმართულებას გამოყოფენ. ესაა ანონიმური ხალხური ლიტერატურა, აშუღური ლიტერატურა და დერვიშული ლიტერატურა. მეორეა მკაცრად კანონიკური ხასიათის დივანის ლიტერატურა, რომელიც ისლამური იდეოლოგიით საზრდოობდა (ჯაველიძე 1988: 8-9).

თურქულხალხურპოეზიაშილექსისფორმებიზუსტადგანსაზღვრული და ჩამოყალიბებული არ არის. უძველესი და გავრცელებული სახეობაა მანი, ყოშმა და თურქუ (türkü). ამ ჯერზე თურქუზე შევჩერდებით.

ლექსის ამ სახეობის არსებითი სპეციფიკურობა სიმღერით შესრულებაა. მისი კომპოზიციური სქემა მრავალნაირია. ძირითადი მახასიათებელია სტროფი (ბენდი) და მაკავშირებელი სტრიქონი – kavuştak „რეფრენი“. ელიზბარ ჯაველიძის „თურქულ პოეტიკაში“ თურქუს, ამ ხალხური ლექსის, ჩვიდმეტი სახეობიდან მე-10 ნაირსახეობის სქემა ჩვენთვის საინტერესო ფორმას ემთხვევა, თუმცა უჩლამით სახელდებული არაა: ქართულ ლექსმცოდნეობაში ეს ტერმინი პირველად როლანდ ბერიძესთან შეგვხვდა ასეთი განმარტებით: უჩლამა აზერბაიჯანული ფოლკლორის ტერმინია და სამეულს ნიშნავს. ამ ტერმინით ისეთი ლექსი ივარაუდება, რომლის თითოეული სტროფი სამი ერთრიტმიანი ტაეპისაგან შედგება, ხოლო ყოველ სტროფს, ჩვეულებრივ, ორტაეპოვანი განსხვავებულ-რიტმიანი რეფრენი ემატება (ბერიძე 1995: 309).

აზერბაიჯანულ პოეტიკაში ტერმინი üçləmə არ არსებობს, თუმც ამ ფორმას არცთუ იშვიათად იყენებენ. ამ ფორმით არის დაწერილი ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის, მირზა ალექბერ საბირის (1862-1911) ლექსი “Qurban bayramı” „ყურბან ბაირამი“ (ჯიქია 2016: 107).

_____ a
 _____ a
 _____ a
 _____ B
 _____ B
 _____ c
 _____ c
 _____ c
 _____ B
 _____ B

(ჯაველიძე 1988: 107).

რაც შეეხება მთელი თურქული პოეტური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ნაწარმოების, მეჰმედ ჰუსეინ შაჰრიარის პოემის „სალამი, ჰაიდარბაზა“ ქართულ თარგმანს: ნომადი ბართაიამ პოემის სულისკვეთებას ადეკვატურად გვაზიარა 3+2-ის ფორმით.

თვალსაჩინოებისთვის, საჭიროდ ჩავთვალე პოემის რამდენიმე სტროფის მოყვანა მათი ქართული თარგმანით.

Heydər Baba, ildırımlar şaxanda, ჰეიდარბაზა, გეკლაკნება როდესაც ელვა,
Sellər, sular şaqıldayıb axanda, როდესაც გრგვინავ, ნიაღვრებად იღვრები,
ლელაგ,
Qızlar ona səf bağlayıb baxanda, ჩამწკრივდებიან გოგონები, როს შენდა
მზერად.

Salam olsun şövkətizə, elizə, სალამი ჩემი, დიდებულო, ჩვენს წმინდა
მზარეს,
Mənim də bir adım gəlsin dilizə. (1) მაშინ თუნდ ერთხელ მეც მახსენეთ
და გამახარეთ.

Heydər Baba, kəkliklərin uçanda, აფრინდებიან უცებ შენი კაკბები
როცა
Göl dibindən dovşan qalxıb qaçanda, და მოკურცხლავენ ბუჩქებიდან
კურდღლები ცოცხლად,
Bağçaların çiçəklənib açanda, აყვავებული ნაირფერად, ბაღებით როს
ხარ.
Bizdən də bir mümkün olsa, yad elə, ჰეიდარბაბა, თუკი შეძლო, ჩვენც
გავცოხსენე,

Açılmayan ürəkləri şad elə. (2) და დაგვიამე ჩვენ გულები დიდი ხნის
მერე

Bayram yeli çardaqları yıxanda, როს ზაირამის მიმოლენავს ჩარდახებს
ქარი,
Novruzgünü, qarçıqəyi çıxanda, ყოჩივარდების მოგადგება როდესაც ჯარი.
Ağ buludlar köynəklərin sıxanda, როს ღრუბლებიდან ძველებურად
წამოვა ღვარი,
Bizdən də bir yad eləyən sağ olsun, გავახსენდებით ვისაც მაშინ, იხაროს
ყველამ,
Dərdlərimiz qoy dikəlsin dağ olsun. (3) მერე დარდები დაგვიზვინდეს
თუნდმთებისხელა.

Heydər Baba, Nənəqızın gözləri, ჰეიდარბაბა, ნენეყიზის თვალები
თბილი,
Rəxşəndənin şirin-şirin sözləri, დაუვიწყარი მუსაიფი რახშანდის
ტკბილი,
Türki dedim, oxusunlar özləri, სიმღერა ესე მათთვის არის რომ დაწერილი.
Bilsinlər ki, adam gedər, ad qalar, იცოდეს ყველამ, კაცი მიდის, სახელი
რჩება,
Yaxşı-pisdən ağızda bir dad qalar. (38) გემო იმისი, რაიც ითქვა, არასდროს
ქრება.

უცილოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, პოემის ინგლისურ
თარგმანში სტროფიკა დაცულია, მაგრამ რითმული შესაბამისობა ხან
არის, ხან – არა. პირველი სტროფი უჩლამაა, მომდევნო ხუთსტრიქონიან
სტროფებში რითმა არეულია:

Heydar Baba, when the thunder resounds across the **skies**,
When floods roar down the mountains**sides**,
And the girls line up to watch it rushing **by**,
Send my greetings to the tribesmen and the village **folk**
And remember me and my name once **more**. (1)

+

Heydar Baba, when pheasants take **flight**,
 And the rabbits scurry from flowering **bush**, -
 When your garden burst into full **bloom**,
 May those who remember us live **long**
 And may our saddened hearts be **gladdened**. (2)
 When the March wind strikes down the **bowers**,
 Primrose and snowdrops appear from the frozen **earth**, +
 When the clouds wing their white **shirts**,
 Let us be remembered once **again**
 Let our sorrows rise up like a **mountain**. (3).

დასკვნა

პოემის – „სალამი, ჰეიდარბაბა“ – ქართული თარგმანი მაღალი დონის ლექსითი თხზულებაა. პოეზიის მოყვარულები ისაუბრებენ და კვლავაც მოიგონებენ დიდ შაჰრიარსა და მის სწორუპოვარ მთარგმნელს ნომადი ბართაიას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბართაია 2013: ბართაია ნ., ქართულში შემოსული ზოგიერთი არაბულ-სპარსული სიტყვის შეძენილი სემანტიკური დატვირთვანი იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით. ლექსმცოდნეობა, VI, თბილისი, 2013, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

ბართაია 2017: სეიდ მუჰამმად ჰუსეინ შაჰრიარი, სალამი, ჰეიდარბაბა. თარგმნა ნომადი ბართაიამ. თბილისი, 2017. გამომცემლობა „უნივერსალი“.

ბერიძე 1995: ბერიძე რ., მყარი სალექსო ფორმები. წიგნში: ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბილისი, 1995. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ისარლიშვილი 1954: ისარლიშვილი ლ., მოკლე კანონი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი. წიგნში: ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII-XIX სს.), გივი მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი, 1954. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.

კენჭოშვილი 2014: კენჭოშვილი ი., ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825). შეადგინა, ბოლოთქმა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა. თბილისი, 2014. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სილაგაძე 2016: სილაგაძე ა., ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები. ჟურნალი „სჯანი“, 17, თბილისი, 2016. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

ხინთიბიძე 2009: ხინთიბიძე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია. თბილისი, 2009. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯაველიძე 1988: ჯაველიძე ე., თურქული პოეტიკა. თბილისი, 1988. გამომცემლობა „განათლება“.

ჯიქია 2016: ჯიქია მ., უჩლამა ქართულ პოეზიაში. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 11-12, თბილისი, 2016. გამომცემლობა „ინტელექტი“.

References

- Bartaia 2013:** Bartaia N., Acquired semantic meanings of some Arabic-Persian words introduced into Georgian according to Ioseb Grishashvili's "Urban Dictionary" – Poetics VI, Tbilisi, 2013. Institute of Georgian Literature Publishing House.
- Bartaia 2017:** Seyid Muhammad Huseyn Shahriar, "Greetings to Heydarbaba". Translated by Nomadi Bartaia. Tbilisi, 2017. Publishing House "Universal".
- Beridze 1995:** Beridze R., Solid verse forms. In the book Foundations of the Theory of Literature. Tbilisi, 1995. Tbilisi University Publishing House.
- Isarlishvili 1954:** Isarlishvili L. Short canons of Georgian poetics or poetic compositions. In: Chrestomathy of Georgian Poetry (XVIII-XIX centuries) Edited and annotated by Givi Mikadze. Tbilisi, 1954. Scientific-Methodological Cabinet Publishing House.
- Javelidze 1988:** Javelidze E., Turkish Poetics. Tbilisi, 1988, Publishing House "Ganatileba",
- Jikia 2016:** Jikia M., Uchlama in Georgian Poetry. Journal of the Gelati Academy of Sciences, 11-12. Tbilisi, 2016, Publishing House "Intellect",
- Kenchoshvili 2014:** Kenchoshvili I., Anthology of Georgian Lyrics (1765-1825). Compiled, with an afterword, notes and a dictionary added by Irakli Kenchoshvili. Tbilisi, 2014. Tbilisi University Publishing House.
- Khintibidze 2009:** Khintibidze A., History and Theory of Georgian Verse. Tbilisi, 2009. Tbilisi University Publishing House.
- Silagadze 2016:** Silagadze A., Eastern Sources of Georgian Solid Verse Forms. Journal. Sjani, 17, Tbilisi, 2016. Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Publishing House.